რუდოლფ შტაინერი

Rudolf Steiner

ეგოიზმი ფილოსოფიაში

DER EGOISMUS IN DER PHILOSOPHIE

ასევე გამოიცა სახელწოდებით
„ინდივიდუალიზმი ფილოსოფიაში“:

Der Individualismus in der Philosophie.
1899. (GA30, გვ. 99–152)

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

„ეგოიზმი ფილოსოფიაში“ 1899 წელს დაიწერა. მასში იკვეთება ფილოსოფიური აზროვნებიდან ანთროპოსოფიულზე გადასვლის ნიშნები. შეიძლება, ითქვას, ეს არის ფილოსოფიურ-ანთროპოსოფიული აზროვნების ერთგვარი სინთეზი. ჰარტმანის მიხედვით „ეგოიზმი ფილოსოფიაში“ ანთროპოსოფიაში გადასვლის გარეშე იქნებოდა „არაფილოსოფიის უფსკრულში ჩავარდნა“. ამავე დროს ანთროპოსოფია ამ წიგნის გარეშე უბრალოდ „დასავლურ სულიერ ცხოვრებაში განფესვილი სპირიტუალიზმი“, ხოლო ფილოსოფოსისთვის კურიოზი იქნებოდა.

მთარგმნელები:

ლამარა ბაბლუანი

ამირან კვარაცხელია
რედაქტორი: ა. კვარაცხელია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

მეორე შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „Cogito“

ISBN 978-9941-8-6592-3

ამ გამოცემაზე[1]

თავისი სამწერლო და სულისმეცნიერეული მოღვაწეობის დასაწყისში, გოეთეს საბუნებისმეტყველო შრომების კომენტირებისა და გამოცემის დროიდან (I ტ. 1883 წ.), რუდოლფ შტაინერი სრული პასუხისმგებლობით გამოდიოდა ინდივიდუალური ეთიკის დამცველად. არა მხოლოდ თავის მთავარ ფილოსოფიურ ნაშრომში „თავისუფლების ფილოსოფია[2]“ (1894-1918), არამედ აგრეთვე მრავალრიცხოვან, დღეს ხშირად მივიწყებულ სტატიებში, რეცენზიებში, ასევე ლიტერატურულ და ბიოგრაფიულ გამოხმაურებებში მან 90-იან წლებში სცადა, მონისტური თეორიიდან ამოსვლით, ადამიანური საქმიანობა გაეთავისუფლებინა მეტაფიზიკური, რელიგიური, საქმიანი და მორალური ბორკილებისა და ნორმებისაგან, რათა მხოლოდ ცალკეული თავისუფალი ინდივიდუალობიდან ამოსულიყო.

---

1. გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა.

2. რუდოლფ შტაინერის უმთავრესი ფილოსოფიური ნაშრომი „თავისუფლების ფილოსოფია“ და აგრეთვე „ჭეშმარიტება და მეცნიერება“ პირველად ქართულად გამოიცა 2006 წელს – რედ. შენიშვნა.

ეგოიზმი ფილოსოფიაში

ადამიანი რომ მხოლოდ ბუნების ქმნილება იყოს და იმავდროულად, შემოქმედი არა, მაშინ იგი არ იდგებოდა სამყაროს მოვლენების წინაშე როგორც კითხვის დამსმელი და არ ეცდებოდა მისი არსისა და კანონების კვლევას. კვებისა და გამრავლების ბუნებრივ ინსტინქტებს იგი თავისი ორგანიზმისთვის ბუნებრივი კანონების შესაბამისად დაიკმაყოფილებდა და სამყაროს მოვლენებს თავის დინებაზე მიუშვებდა. მას აზრადაც არ მოუვიდოდა, ბუნებისთვის კითხვა დაესვა. იგი კმაყოფილი და ბედნიერი იცხოვრებდა იმ ვარდივით, რომელზეც *ანგელუს სილეზიელი*[1] ამბობს:

> „ვარდს ნუ ეკითხები, ის ყვავის იმიტომ, რომ ყვავის, ყურადღებას არ აქცევს საკუთარ თავს, არ კითხულობს, ხედავ თუ არა მას“.
> «Die Ros' ist ohn warumb, sie blühet, weil sie blühet, sie acht nicht ihrer selbst, fragt nicht, ob man sie sihet.»

ასეთია ვარდი. რაც არის, სწორედ ისეთია, ვინაიდან ბუნებამ იგი ასეთი შექმნა. მაგრამ ადამიანს არ

1. ანგელუს სილეზიელი – „Cherubinischer Wandersmann“, 1675, 1, Buch. Spruch 289.

შეუძლია ასეთი იყოს. მასში ჩადებულია სწრაფვა, არსებულ სამყაროს დაუმატოს კიდევ ერთი – საკუთრივ მისგან აღმოცენებული. მას არ უნდა იცხოვროს თანამოძმეთა შემთხვევით თავყრილობაში, რომელშიც ბუნებამ ჩააყენა: იგი ცდილობს სხვებთან თანაცხოვრება თავისი გონივრული აზროვნების შესაბამისად მოაწესრიგოს. მას არ აკმაყოფილებს ფორმა, რომელიც ბუნებამ კაცსა და ქალს მისცა; ამიტომაც ქმნის იგი ბერძნული პლასტიკის იდეალურ ფიგურებს. ყოველდღიური ცხოვრების მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას იგი თავისი ფანტაზიით წარმოქმნილს ამატებს ტრაგედიასა და კომედიაში. არქიტექტურასა და მუსიკაში მისი სული ისეთ ქმნილებებს ქმნის რამაც საეჭვოა, ბუნების მიერ შექმნილი მოგვაგონოს. თავის მეცნიერებებში იგი იძლევა ცნებით ხატებს, რომელთა მეშვეობითაც ყოველდღიურად ჩვენი გრძნობების წინაშე ჩავლილი სამყაროსეული მოვლენების ქაოსი ჰარმონიულად მოწესრიგებულ მთლიანობად, თავის თავში დანაწევრებულ ორგანიზმად წარმოჩნდება. სამყაროში თავის საკუთარ მოქმედებებში იგი ქმნის თავისსავე განსაკუთრებულ სამეფოს, ისტორიულ მოვლენებს, რომელიც არსებითად სხვა სახისაა, ვიდრე ბუნების მოვლენათა მსვლელობა.

ადამიანი გრძნობს, რომ ყოველივე, რასაც იგი ქმნის, მხოლოდ ბუნების მოქმედების გაგრძელებაა. მან ასევე იცის, რომ მოწოდებულია, მეტი დაამატოს იმას, რაც ბუნებას თავისი თავიდან შეუძლია.

იგი აცნობიერებს, რომ თავისი თავიდან გარეგანთან ერთად სხვა, უფრო მაღალ ბუნებას წარმოშობს.

ამგვარად დგას ადამიანი ორ სამყაროს – მასში გარედან შემოჭრილსა და საკუთრივ მის მიერვე წარმოქმნილს შორის. იგი ცდილობს ეს ორი სამყარო ერთმანეთთან შეათანხმოს. ვინაიდან მთელი მისი არსება ჰარმონიისკენ ისწრაფვის. მას სურს იცხოვროს, როგორც ვარდმა, რომელმაც არ იცის არც „რატომ“ და არც „იმიტომ“, მაგრამ ყვავის, ვინაიდან ყვავის. *შილერი*[2] ამას ადამიანისგან ითხოვს შემდეგი სიტყვებით:

„ეძიებ შენ უმაღლესს, უდიდესს?
მცენარეს შეუძლია შენ ეს გასწავლოს,
რაც ის ნების გარეშეა, იყავ შენ მნებავი – ეს ასეა!“
«Suchst Du das Höchste, das Größte?
Die Pflanze kann es Dich lehren.
Was sie willenlos ist, sei Du es wollend – das ist's!»

მცენარეს ეს შეუძლია. ვინაიდან მისგან არანაირი ახალი სამყარო არ წარმოიქმნება, ამიტომაც არ წარმოიქმნება მასში მორიდებული სურვილი: მე როგორ შევათანხმო ორივე სამყარო?

თავად მასში არსებულის შეთანხმება იმასთან, რასაც ბუნება თავისი თავიდან წარმოქმნის, ანუ ამ ორ სამყაროს შორის ჰარმონიის მიღწევა არის მიზანი, რომელსაც ადამიანი ისტორიის ყველა დროში ესწრაფვის. ის ფაქტი, რომ იგი ნაყოფიერია, ამოსა-

2. ფრიდრიხ შილერი – Gedicht „das Höchste“.

ვალი პუნქტია კამათისა ბუნებასთან, რომელიც მისი სულიერი მისწრაფების შინაარსს ქმნის.

არსებობს ორი გზა ამ კამათისთვის. ან ადამიანი გარე ბუნებას უფლებას აძლევს მის შინაგანზე იბატონოს; ანდა იგი ამ გარე ბუნებას იმორჩილებს. პირველ შემთხვევაში იგი ცდილობს, თავისი საკუთარი ნებელობა და ყოფიერება დაუქვემდებაროს მოვლენათა გარეგნულ მსვლელობას. მეორეში – იგი საკუთარი ნებელობისა და ყოფიერების მიზანსა თუ მიმართულებას თავად განსაზღვრავს და ცდილობს, თავისი გზით მიმდინარე ბუნების მოვლენებს როგორღაც გაუმკლავდეს.

მე მსურს, ჯერ პირველ შემთხვევაზე ვისაუბრო. ის, რომ ადამიანი ბუნების სამეფოს გარდა, მისი აზრით, ასევე ქმნის უფრო მაღალ სამყაროს, ეს მის არსებას შეესაბამება. მას სხვაგვარად არ შეუძლია. როგორი შეგრძნებები და გრძნობები აქვს მას თავისი სამყაროს მიმართ, ამაზეა დამოკიდებული მისი მიმართება გარე სამყაროსთან. მას შეუძლია საკუთარ სამყაროსთან იგივე შეგრძნებები ჰქონდეს, როგორიც ბუნების ფაქტების მიმართ. მაშინ იგი უფლებას აძლევს სულის ქმნილებებს მას ისევე მიეახლონ, როგორც აძლევს იგი მასთან მიახლოების საშუალებას გარე სამყაროს მოვლენებს, მაგ: ქარსა და ქარიშხალს. იგი ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს იმას, რაც გარე სამყაროსა და მის სამშვინველში ხდება. ამიტომ მას მიაჩნია, რომ ისინი ***ერთი*** სამყაროა, რომელიც ***ერთგვარ*** კანონებს ემორჩილება. თუმცა გრძნობს, რომ სულის